

იდუმალი მოქმედი პირები და მათი მოტივაცია თომას მანის ნოველაში  
*სიკვდილი ვენეციაში*

ვახტანგი მურღულია

*საშინაო ნაშრომი ნარატოლოგიაში/თხრობის თეორიაში*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი,

პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

**სარჩევი:**

შესავალი -----	1
1. თეორიული წანამძღვრები / ლიტერატურის მიმოხილვა -----	2
1.1 მოქმედ პირთა ანალიზისა და მოქმედ პირთა დახასიათების თეორიები-----	2
1.2 თომას მანის ნოველისა და მისი შექმნის კონტექსტის მიმოხილვა-----	3
1.3 თომას მანის ნოველაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა -----	5
2. ნოველის ანალიზი და ინტერპრეტაცია შერჩეული მეთოდის საფუძველზე -----	6
დასკვნა-----	11
გამოყენებული ლიტერატურა-----	13

## შესავალი

ლიტერატურის დარგის მკვლევარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა შეისწავლოს და გაანალიზოს იმ ავტორის შემოქმედება, რომელიც კარგად იცნობდა ლიტერატურულ თეორიას, კრიტიკასა და ისტორიას და თავის ნაშრომებს ქმნიდა ამ მეთოდებისა და სისტემების მიხედვით. თომას მანი ერთ-ერთი ისეთი შემოქმედი, რომლის ნაწარმოებები დაფუძნებულია ძველ ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციებზე და, ამავდროს, იგი იყენებს თანამედროვე ტენდენციებსა და თეორიებს.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი საკვლევი მიზანია - იდუმალი მოქმედი პირებისა და მათი მოტივაციის კვლევა თომას მანის ნოველაში *სიკვდილი ვენეციაში*. ვინაიდან, ამგვარ იდუმალ მოქმედ პირებს ნაწარმოებში როგორც დიდი, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, აუცილებელია ამ პერსონაჟების გაანალიზება და კონკრეტული მნიშვნელობისა და ფუნქციის დადგენა. ამ იდუმალი პერსონაჟების ანალიზი მითოსის კონტექსტში მოხდება, ხოლო ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება მოქმედი პირების ნარატიული კონცეფცია. კვლევის მნიშვნელობას ასევე განაპირობებს ქართულ სამეცნიერო სივრცეში იმ ნაშრომთა სიმწირე, რომელიც ამ საკითხს შეისწავლიდა.

კვლევის ამოცანები კი მდგომარეობს ნაწარმოების თითოეული იდუმალი პერსონაჟის იდენტიფიცირებაში; შემდგომ მათი დამახასიათებელი ნიშნების, ქმედებების, გარეგნობისა და გარემოს აღწერაში და ამ ნიშნების გათვალისწინებით ანტიკური ლიტერატურის ფიგურებიდან ანალოგიური იდენტობის მქონე პერსონაჟების მოძიებაში.

ამ პერსონაჟებისა და მათი პროტოტიპის გამოკვლევის შემდეგ კი აუცილებელია მოქმედი პირების მოტივების გარკვევა. მოტივების გარკვევის შემდეგ, საჭიროა დადგინდეს, რა ფორმითა და სახით უკავშირდებიან ისინი მთლიანად ტექსტს. რამდენად კარგადაა მათი მიზნები რეპრეზენტირებული ტექსტში და ტოვებენ თუ არა ისინი ერთგვარ ღია კითხვებს.

# 1. თეორიული წანამდგრები / ლიტერატურის მიმოხილვა

## 1.1 მოქმედ პირთა ანალიზისა და მოქმედ პირთა დახასიათების თეორიები

მოქმედი პირების კომპონენტის გაგება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანი ტექსტის აღქმის პროცესში. უპირველესად, წინამდებარე ნაშრომში მოქმედ პირთა ანალიზისათვის გამოყენებული იქნება მანფრედ პფისტერის მოქმედ პირთა ანალიზის თეორია<sup>1</sup>. პფისტერის თეორიის მიხედვით მოქმედ პირთა ოთხი კატეგორიის გამოყოფა არის შესაძლებელი<sup>2</sup>; მათგან ერთ-ერთი გვთავაზობს პერსონაჟთა კლასიფიკაციას განსაზღვრული და იდუმალი<sup>3</sup> მოქმედი პირების მიხედვით. პირველ კლასიფიკაციას განეკუთვნებიან ის პერსონაჟები, რომელთა მოქმედების მოტივაცია ტექსტის მიხედვით სრულიად განსაზღვრული და გასაგებია მკითხველთათვის, ხოლო თუ პერსონაჟის მიზნის ამოცნობა სირთულესთან არის დაკავშირებული (აქვთ ამბივალენტური ან იდუმალი განზრახვები), მაშინ პფისტერი ასეთ პერსონაჟებს იდუმალ პერსონაჟთა კატეგორიას მიაკუთვნებს.

რაც შეეხება უშუალოდ მოქმედ პირთა დახასიათებას, შლომით რიმონ-ქენანი თავის წიგნში<sup>4</sup> განარჩევს მოქმედ პირთა ანალოგიურ, პირდაპირსა და ირიბ დახასიათებას<sup>5</sup>. პირველ შემთხვევაში, პერსონაჟის სახელი სიმბოლური მნიშვნელობების მატარებელია და ის, როგორც უკვე ითქვა, ინდივიდის ეგზისტენციალურ-ფილოსოფიურ მნიშვნელობას ააშკარავებს. სახელის მიხედვით ანალიზი შესაძლებელია ანალოგიების მოხმობით (ანალოგია შესაძლებელია გავავლოთ სხვა წიგნის იმავე სახელის მქონე პერსონაჟთან, ან გეოგრაფიულ ელემენტებთან და აშ.). სახელები, ხშირ შემთხვევაში, სიმბოლური მნიშვნელობის მატარებლები არიან. ასევე, ფიქციურ ლიტერატურაში არაერთი ავტორი იყენებს მეტყველ სახელებს, რომლებიც უშუალოდ მიემართებიან პერსონაჟის ბუნებასა და თვისებას<sup>6</sup>. პირდაპირი დახასიათება ხორციელდება მთავარი მოქმედი პირის, ან სხვა რომელიმე პერსონაჟის

<sup>1</sup> Pfister, Manfred (2011) *The Theory and Analysis of Drama*, Cambridge University Press, Cambridge (pp 160-195)

<sup>2</sup> Fenske, Claudia (2006) *Muggles, Monsters and Magicians: A Literary Analysis of the Harry Potter Series*, Marburg Unive. Publisher, Marburg (p 144)

<sup>3</sup> Closed, იგივე Fully Explained და Open, იგივე Enigmatic;

<sup>4</sup> Rimmon-Kenan, Shlomith (2003) *Narrative Fiction: Contemporary Poetics*, Routledge Publisher, Oxfordshire

<sup>5</sup> Characterisation by Analogy, Direct definition of character და Indirect presentation

<sup>6</sup> მაგ. დოსტოევსკის *დანაშაული და სასჯელის* პერსონაჟი რასკოლნიკოვი (რასკოლი - რუსულად განხეთქილებას ნიშნავს, პერსონაჟი კი თავისი მნიშვნელობით საზოგადოებაში განხეთქილების, გაუგებრობისა და არსებული წარმოდგენების რღვევას ემსახურება).

მიხედვით, რომელსაც ნარატოლოგიაში ქარაკტანტი ეწოდება<sup>7</sup>. რაც შეეხება ირიბ დახასიათებას, ირიბი დახასიათებისთვის გამოდგება თხრობის ის აქტები, რომლებიც ეხება პერსონაჟთა ქმედებებს, პირდაპირ ნათქვამებს, გარეგნობას, გარემოს.

ქმედებები არის პერსონაჟის ის მთავარი ელემენტი, რაც მის დასახასიათებლად ყველაზე უკეთ გამოდგება. ნათქვამებს რაც შეეხება, ისინი პირდაპირ ახასიათებენ უშუალოდ მის წარმომთქმელებს. ამასთანავე მნიშვნელოვანია როგორ წარმოთქვამენ ისინი ამას. გარეგნობას რაც შეეხება, ბუნებრივია, გარეგნობა ფიქციურ ნაწარმოებებში უმთავრეს როლს ასრულებს მოქმედი პირების ხასიათის დადგენაში და ააშკარავებს მათ თვისებებსა და მიზნებს. ხშირად, თხრობისას ყურადღება ექცევა მოქმედი პირის ადგილმდებარეობას და ეს ნარატორის მხრიდან ერთგვარ მინიშნებას შეიცავს ამ პერსონაჟის ხასიათზე და მიზნებზე.

წინამდებარე ნაშრომში, თომას მანის ნოველის ანალიზისთვის, შეძლებისდაგვარად, გამოყენებული იქნება თითოეული აღწერილი თეორიული ასპექტი და უშუალოდ მათი მიხედვით დახასიათდება თითოეული მისტიკური პერსონაჟი. ნაშრომში განხილული იქნება მოქმედების ელემენტები და მათ ურთიერთმიმართება.

## *1.2 თომას მანის ნოველისა და მისი შექმნის კონტექსტის მიმოხილვა*

თომას მანის ნოველა *სიკვდილი ვენეციაში* არაერთხელ ყოფილა მკვლევარებისა და მკითხველების ყურადღების ცენტრში, რადგან იმ დროითი კონტექსტის გათვალისწინებით. მრავალი მკვლევარის აზრით, ეს ტექსტი თომას მანისთვის ავტობიოგრაფიულია და იგი მწერლის ჰომოსექსუალობის დემონსტრირებას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორის და დირიჟორის გუსტავ მალერი გუსტავ ფონ აშენბახის პროტოტიპია. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, 1911 წელს თომას მანი თავის ცოლთან ერთად ნამდვილად იმყოფებოდა ვენეციაში. სწორედ მანის ვენეციაში ყოფნის დროს გარდაიცვალა გუსტავ მალერი. ბოჰემური ცხოვრების მქონე კომპოზიტორის გარდაცვალება კი მანისთვის მძიმე დარტყმა

---

<sup>7</sup> ცაგარელი, ლევან (2012) თხრობის თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 93

აღმოჩნდა, რამაც მანს ნოველის *სიკვდილი ვენეციაში* დაწერა გადააწყვეტინა. ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ ტაძიოსაც მოეპოვება პროტოტიპი. იგი ვენეციაში გაცნობილი ახალგაზრდა პოლონელია, რომელიც ტაძიოს შექმნის შთაგონების წყაროდ იქცა<sup>8</sup>. ასევე, თომას მანის მეუღლე, კატია მანი აღნიშნავს და ადასტურებს, რომ ნოველაში აღწერილი თითოეული ელემენტი გამოცდილების შედეგია (სასტუმროს დასახელება და აღწერა, ბიჭი ტაძიო, მისი ჩაცმულობაც კი ტექსტში სიტყვა-სიტყვითაა გადატანილი).

წინამდებარე ნოველა არც კინემატოგრაფებს გამორჩენიათ მხედველობიდან. ლუკინო ვისკონტიმ თავისი გერმანული ტრილოგიის<sup>9</sup> ფარგლებში გადაიღო იგივე სახელწოდების *სიკვდილი ვენეციაში* ფილმი. ფილმი ნოველის მსგავსად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფილმში რაც საყურადღებოა, გუსტავ აშენბახი არა მწერალი, არამედ კომპოზიტორია (ფილმში აშკარაა გუსტავ მალერთან აშენბახის კავშირი).

ბენჯამინ ბრიტენის საოპერო დადგმა *სიკვდილი ვენეციაში*<sup>10</sup>, თომას მანის ნოველის ადაპტაციას წარმოადგენს. ამ დადგმას ბრიტანული „სიკვდილის ვენეციის“ სახელითაც იცნობენ.

თომას მანისთვის ნოველის გამოცემა საბედისწერო მოვლენად აღმოჩნდა, მას მოუწია გერმანიიდან მალევე წასვლა, რადგან მის ასეთ თამამ ტექსტს მტრულად დახვდნენ კრიტიკოსები და საზოგადოების ნაწილი. ამას დაემატა პირველი მსოფლიო ომის მზადების პერიოდი და თომას მანი საცხოვრებლად შვეიცარიაში გადადის და აქტიურად ერთვება ანტი-ნაცისტურ კამპანიაში. თომას მანს მეორე მსოფლიო ომის გამოვლაც მოუწია და 1955 წელს (80 წლის ასაკში) ციურიხში გარდაიცვალა.

---

<sup>8</sup> Air Gilbert (2003) *The Real Tadzio: Thomas Mann's Death in Venice and the Boy Who Inspired It*, Carroll & Graf Publisher, New York City

<sup>9</sup> იხ. სტატია ვისკონტის გერმანულ ტრილოგიაზე <https://denniscooperblog.com/entry-level-luchino-viscontis-german-trilogy-the-damned-death-in-venice-ludwig-1969-1973/>

<sup>10</sup> იხ. გარდიანის სტატია ბენჯამინ ბრიტენის საოპერო ადაპტაციაზე - „სიკვდილი ვენეციაში“ <https://www.theguardian.com/music/2019/nov/22/britten-death-in-venice-review-royal-opera-house-mcvicar-padmores>

### 1.3 თომას მანის ნოველაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება მიჩიგანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის გორმან ბუშამპის<sup>11</sup> და პროფ. იზადორე ტრაშენის<sup>12</sup> აკადემიური ნაშრომები თომას მანის ნოველაზე *სიკვდილი ვენეციაში*.

პროფ. ბუშამპი თავის ნაშრომში გამოყოფს უცნაურ პერსონაჟებს: მოგზაურს (ინგლისური ბალიდან), ცრუ-ახალგაზრდას (გემბანიდან), უხემ გონდოლიერს, ქუჩის სატირიკოს მომღერალს. ბუშამპის უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს ამ პერსონაჟების მსგავსებაზე, მისი თქმით, უკანასკნელი სამი პერსონაჟი ტექსტში ერთნაირად არის დახასიათებული. ბუშამპის მოსაზრებით, ეს პერსონაჟები ემსახურებიან აშენბახის რაციონალურობის საწინააღმდეგოდ მიმართულ მეტა-რეალისტური, მითოსური ფონის შექმნას.

პროფ. ტრაშენი კი ყურადღებას ამახვილებს მოგზაურზე (ინგლისური ბალიდან). მისი მოსაზრებით, ტექსტში უცხო მოგზაურის გამოჩენა მითოსურ ტექსტებში ხშირად გამოყენებული მეთოდია, როცა უცხოს გამოჩენა უკავშირდებოდა პერსონაჟის ღრმად დამალულ შინაგან დამალულ სურვილს. ამ შემთხვევაში ტრაშენის აზრით, მოგზაური აშენბახისთვის საკუთარი თავის პროექციაა, რომელიც მასში არსებულ მოგზაურობის, სივრცეების დამღევის სურვილს ასახავს. აქედან გამომდინარე, უცხო პიროვნება წარმოგვიდგება როგორც პროტაგონისტის ფარული სურვილების ხილული დემონსტრირება<sup>13</sup>.

---

<sup>11</sup> Beauchamp, Gorman (2011), Two Orders of Myth in Death in Venice, Southern Illinois Univ, <http://ezproxy.iliauni.edu.ge:2329/eds/pdfviewer/pdfviewer?vid=3&sid=af15dc35-3928-47ff-bfe5-06b45c01c1b3%40sdc-v-sessmgr01> (ბოლო წვდომა 23.02.2020; 14:01);

<sup>12</sup> Traschen, Isadore (1965) The Uses Of Myth In "Death In Venice, The Modern Fiction Club Of The Purdue University Department Of English, <https://ezproxy.iliauni.edu.ge:2111/stable/26278799> (ბოლო წვდომა 23.02.2020; 17:31);

<sup>13</sup> წინამდებარე ტექსტის მიხედვით, იგივე შეგვიძლია ვთქვათ ტაძიოზე, რომელიც აშენბახის ჰომოსექსუალობასა და მის ჰომოეროტიკულ ვნებებს გამოხატავს.

## 2. ნოველის ანალიზი და ინტერპრეტაცია შერჩეული მეთოდის საფუძველზე

ამა თუ იმ ლიტერატურული ტექსტის ანალიზისთვის აუცილებელია როგორც ძირითადი მოქმედი პირების, ასევე ყველა იმ პერსონაჟის შესწავლა და ანალიზი, რომლებიც ტექსტში გვხვდება და გავლენას ახდენს ფაბულაზე. თომას მანის ნოველაში ასეთი მრავალი პერსონაჟია.

ნოველის პერსონაჟების კლასიფიკაციას მანფრედ პფისტერის თეორიის მიხედვით მოვახდენთ და ყურადღებას გავამახვილებთ იდუმალი მიზნების მქონე პერსონაჟებზე. ასეთ პერსონაჟებად გვევლინებიან<sup>14</sup>:

- უცნობი მოგზაური კაცი (ინგლისური ბაღიდან);
- ცრუ ახალგაზრდა (გემბანიდან);
- მეგონდოლე (რომელსაც აშენბახი ნაპირზე გადაჰყავს);
- სასტუმროს მოხელე (რომელიც აშენბახის ბარგს კარგავს);
- დალაქი (რომელიც აშენბახს აახალგაზრდავებს);
- მოხეტიალე მომღერალი;
- შალის პიჯაკიანი ინგლისელი (რომელიც ვენეციაში არსებულ ქოლერაზე უყვება აშენბახს);

თითოეული პერსონაჟი დახასიათდება შლომით რიმონ-ქენანი თეორიის საფუძველზე. ასევე, პერსონაჟების დახასიათების კვალდაკვალ აუცილებელია გაირკვეს, თუ რა გრძნობა ეუფლება აშენბახს ამ უცნობ პირებთან შეხვედრის დროს. რა დანიშნულება აქვთ მათ ამ ნაწარმოებში და როგორ ახერხებენ ისინი ამ მიზნისა და დანიშნულების შესრულებას. ასევე, რატომ არ ფიგურირებს ტექსტში მათი სახელები და რატომაა ყურადღება გამახვილებული მხოლოდ მათ ფიზიოლოგიაზე.

პირველი და ერთ-ერთი მთავარი იდუმალი ფიგურა, რომელიც ტექსტის დასაწყისში წარმოგვიდგება, არის უცნობი მოგზაური. აშენბახისა და მოგზაურის გზები ინგლისურ ბაღში გადაიკვეთება, როდესაც მწერალი ყოველდღიურ ჰიგიენურ პროცესს<sup>15</sup> ასრულებს. უცნობის აღწერაში დომინირებს აღმოსავლური აღნაგობის

<sup>14</sup> გამოყოფილია ის ძირითადი პერსონაჟები, რომლებიც იდუმალების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან;

<sup>15</sup> ასე ახასიათებს ნარატორი აშენბახის დასვენების პროცესს, რომელიც მის შემოქმედებითი მექანიზმის პროცესში, სულის განუწყვეტელი მოძრაობის თანმხლები პროცესია.



მქონე ადამიანის ფიგურა. უცნობის ჩაცმულობით აშენბახი აცნობიერებს, რომ იგი მოგზაური უნდა იყოს და მისი გარეგნობის ორ ნაწილზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას: მის ადამის ვაშლზე<sup>16</sup> და დამანჭულ სახეზე. გარემო, რომელშიც მოგზაური ჩნდება და შემდეგ კვლავ თხრობის ფოკუსიდან გადის, ძალზე მისტიკურია: მოგზაურის გამოჩენა და წასვლის სცენა აღწერილია როგორც უეცარი „გამოჩენა“ და „გაქრობა“. უცნობი კაცი კედელზე აპოკალიფსური ცხოველების ფიგურების ფონზე ჩნდება. აგრეთვე, იდუმალ მოქმედ პირს კონკრეტული, უშუალო სახელი არ აქვს, მაგრამ თხრობის კონტექსტიდან გამომდინარე, ამ მოქმედ პირს მთხრობელი უძებნის შესატყვისს, რომელიც სახელის მაგივრობას წევს - უცნობი მოგზაური, რითაც ავტორს, სავარაუდოდ, სურს მკითხველს მიუთითოს ამ იდუმალი პიროვნების იდენტობაზე. რაკი ნოველა ინტერტექსტუალურია და მასში ხშირად ვხვდებით ანტიკური ლიტერატურის პარასჟებს, ზუსტად აქ უნდა ვეძებოთ ამ პერსონაჟის სახე. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მოგზაურობის ღმერთი ჰერმესია<sup>17</sup>. ეს უცნობი მოგზაური ჰერმესული პერსონაჟია, რომელიც, ბუნებრივია, აშენბახში მოგზაურობის სურვილის აღძვრას ემსახურება: „სრულიად მოულოდნელად იგრძნო, როგორც საოცრად გაუფართოვდა შინაგანი სამყარო: უჩვეულო ჩქროლვამ აიტანა, შორეული მხარეებისაკენ ჭაბუკურმა ლტოლვამ<sup>18</sup>“. ამიტომაც, ამ იდუმალი მოქმედი პირის მიზანს წარმოადგენს აშენბახში მობილობის აღძვრა. თუ გავითვალისწინებთ აშენბახის რაციონალურობასა და დისციპლინურობას, ეს ფაქტი პერსონაჟის იდუმალეზას და მის მეტაფიზიკურ შესაძლებლობაზე მეტყველებს.

მეორე მოქმედი პირი, რომელიც იდუმალეზის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, არის ცრუ ახალგაზრდა გემბანიდან, რომლის აღწერაში დომინირებს მისი დამანჭულობა და თავისი ასაკისთვის შეუფერებელი ჩაცმულობა. ეს ყველაფერი აშენბახში ზიზღის გრძნობას ბადებს. ის გარემო, რომელშიც ეს პერსონაჟი გვხვდება წინამორბედივით უცნაურია. გვაქვს არაბუნებრიობა - ასაკოვანი მამაკაცი ახალგაზრდების წრეში, რომელიც ცდილობს დაემსგავსოს მათ და მოატყუოს ისინი. ამ პერსონაჟის

---

<sup>16</sup> სხეულის ეს ნაწილი იმიტომაც მნიშვნელოვანია, რომ სხვა პერსონაჟის აღწერისას სხეულის ამ ნაწილს გამოჰყოფს.

<sup>17</sup> იხ. სტატია <https://www.greekmythology.com/Olympians/Hermes/hermes.html>

<sup>18</sup> მანი, თომას (2013) ტონიო კრიოგერი; სიკვდილი ვენეციაში, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 88 გვ.

იდენტიფიცირებისათვის კვლავ საჭიროა ანტიკურ ლიტერატურაში მისი პროტოტიპის მოძებნა. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღვთაებრივ ყალთაბანდად, თვალთმაქცად, ოინბაზად<sup>19</sup>, ზევსისა და ნიმფეს ვაჟი, ჰერმესია წოდებული. შესაბამისად, ტექსტის ამ ნაწილშიც, უკვე მეორედ, ჰერმესული პერსონაჟი წარმოგვიდგება.

ტექსტში მესამედ გამოჩენილი იდუმალი ფიგურა მეგონდოლეა. მეგონდოლე და გონდოლა აშენბახში იწვევს კრძალვისა და ძრწოლის განცდას: “კუბოს გარდა გონდოლა მოგვაგონებს უჩუმრისპირ და დანაშაულებრივ თავგადასავლებს მოკამკამე ღამეში. მაგრამ უფრო მეტად კი თავად სიკვდილს, საკაცეს, წესის აგებასა და უკანასკნელ, მდუმარე სვლას<sup>20</sup>“. ასევე, მეგონდოლე თავხედურად ექცევა აშენბახს და მის ბრძანებებს არ ასრულებს: თუ აშენბახს გემიდან ვენეციის პორტამდე სურდა მისვლა, მეგონდოლე მას პირდაპირ ლიდოში გაუძღვება. მეგონდოლის გამოჩენა და წასვლის მომენტი კვლავ იდუმალებასთანაა დაკავშირებული, რადგან იგი ისე გაქრება, რომ აშენბახს მგზავრობის ქირასაც კი არ გამოართმევს<sup>21</sup>. მეგონდოლის სახეც ერთგვარ დამანჭულობას და სიმკაცრეს გამოხატავს. ამ პერსონაჟის და მისი მიზნის გასარკვევად კვლავ მითოსს უნდა მივმართოთ. თუ გავიხსენებთ აშენბახის იმ განცდას, რომ გონდოლით მოგზაურობა მას სიკვდილის უკანასკნელ გზაზე სვლის შეგრძნებას ანიჭებდა, ძიება ამ კუთხით უნდა დაიწოთ. ვინ არის ბერძნული მითოლოგიის თანახმად ფსიქოპომპები<sup>22</sup>, რომელიც გარდაცვლილებს ჰადესამდე მიაცილებენ? ერთ-ერთი ასეთი ფიგურა - ჰერმესია.

მომდევნო იდუმალი პერსონაჟი შეიძლება მოგვეჩვენოს საკამათოდ, მაგრამ მისი არსებობა ერთობ გადამწყვეტ როლს ასრულებს ნოველაში - ესაა სასატუმროს მოხელე, რომელიც აშენბახის ბარგს კარგავს და ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მისტიკასთან, როცა ეს იდუმალი შემთხვევა ისე ეწყობა, რომ აშენბახის ნებაზე იქონიებს გავლენას. ასევე, ნარატორის აშკარა კომენტარი, ბარგის მოსაძებნად წასული მოხელის დაბრუნებაზე, ამ პერსონაჟის იდუმალებაზე მიუთითებს: „მაგრამ, როგორც

<sup>19</sup> იხ. სტატია <https://www.britannica.com/art/trickster-tale>

<sup>20</sup> მანი, თომას (2013) 105 გვ.

<sup>21</sup> ჩვენ ვარკვევთ, რომ მას გონდოლიერის ლიცენზია არ ჰქონდა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გამოჩენამ დააფრთხო და გააქცია იგი, მაგრამ ეს მაინც არ ხსნის მის იდუმალებას.

<sup>22</sup> იხ. სტატია <https://soulsearchers.spheresoflight.com.au/the-psychopomp-or-death-walker/>

მოსალოდნელი იყო, მოხელე ხელცარიელი დაბრუნდა<sup>23</sup>. ბერძნულ მითოლოგიაში იღბლიანი შემთხვევის ღმერთად კვლავ მეათე რანგის ღმერთი ჰერმესი მიიჩნევა.

მომდევნო პერსონაჟი, რომელთანაც აშენბახს შეხება უწევს - ენაწყლიანი მასლაათის დიდოსტატი დალაქია. დალაქი ერთ მხრივ ართობს და აწვდის ინფორმაციებს (მაგ. ქოლერაზე პირველად ის იწყებს საუბარს და უბედურებას უწოდებს). საუბრის დროს აშენბახს ძილისმაგვარი შეგრძნება ერევა და რეალობას თანდათან წყდება, მაგრამ ამავედროს, დალაქის დახმარებითვე, იგი რეალობას უბრუნდება. ასევე, დალაქი არამხოლოდ ენაკვიმატობით გამოირჩევა, არამედ მანვე შეძლო აშენბახის ფიზიკური ტრანსფორმაცია, როდესაც მან იგი გაალამაზა და იქვე დაუმატა: „ახლა, ბატონო ჩემო, არხეინად შეგიძლიათ ვინმეს გაუმიჯნურდეთო<sup>24</sup>“. დალაქი წინამდებარე ეპიზოდებში, ერთი მხრივ შიკრიკის, მაცნის როლს ასრულებს და ამით პირდაპირ უკავშირდება ჰერმესს. მეორე მხრივ, იგი მასლაათით პირდაპირ აბრუებს, ისედაც გონება წართმეულ აშენბახს და იმ ადამიანად ხდის, რომელიც მისთვის ზიზღის მომგვრელი იყო, იგი ცრუ ახალგაზრდად იქცა, ეს კი დალაქისა და მისი ენაწყლიანობის შედეგია. ჰერმესი სხვა ბევრი თვისების გარდა, იმითაცაა ცნობილი, რომ იგი მჭერმეტყველი იყო და შეეძლო ადამიანების დაყოლიება და მათი ძილის მდგომარეობაში გადაყვანა. დალაქის მოტივი გახლდათ, აშენბახის მიძინება, მისი რეალობიდან მოწყვეტა და სხვა ადამიანად გადაქცევა, პარალელურად (შემოქმედითობა ჰერმესის ერთ-ერთი ფუნქციაა), მისი მიზანი აშენბახის მიძინარე მდგომარეობიდან გამოღვიძებაა.

მომდევნო მისტიკური უსახელო პერსონაჟია მოხეტიალე მომღერალი. მისი გარეგნობა (დამანჭული სახე, იქედნური ღიმილი, არაადეკვატური სიცილი და ამავედროს მრისხანება, მის ყელზე შიშველი ადამის ვაშლი<sup>25</sup>) და მისი საქმიანობა - მოხეტიალე მომღერლობა, პირდაპირ კავშირშია ჰერმესთან, ვინაიდან ჰერმესი მიიჩნევა ვაჭრობისა და მოგზაურთა ღმერთად.

ბოლო პერსონაჟი, რომელიც აშენბახს სრულ და აბსოლუტურ სიმართლეს გაუმხელს ვენეციაში არსებულ სიტუაციაზე არის შალისკოსტიუმისანი ინგლისელი. ეს მოქმედი

---

<sup>23</sup> მანი, თომას (2013) 130 გვ.

<sup>24</sup> მანი, თომას (2013) 169 გვ.

<sup>25</sup> რომელიც უკვე მეორე პერსონაჟის დახასიათებაში იჩენს თავს. პირველი იყო მოგზაური.

პირიც უსახელოა და მისი ფიზიოლოგიის მხოლოდ გარკვეული ელემენტები ვიცით, თუმცა მისი მთავარი როლი და მიზანი ამ სცენაში გამოიხატება აშენბახის მაცნეობაში. იგი უამბობს ვენეციაზე დატრიალებული უბედურების შესახებ და ამით, ჰერმესულ, შიკრიკისა და მაცნის როლს კისრულობს.

## დასკვნა

წინამდებარე პერსონაჟების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული პერსონაჟი ასრულებს გარკვეულ, მხოლოდ მისთვის დაკისრებულ ფუნქციას და თითოეულ მათგანს აქვს საერთო ნიშან-თვისება. ეს ნიშნები კი მიემართებიან მითოსური საწყისებისკენ. თითოეული პერსონაჟის აღწერისა და დახასიათების პროცესში თავი იჩინა ერთგვარმა ტენდენციამ, რომ ეს პერსონაჟები ერთი მითოსური გმირის (ღმერთის) ცალკეულ ფრაგმენტებს წარმოადგენენ. მათი იდენტობის მსგავსებაზე მეტყველებს ამ პერსონაჟების ცალკეული თვისებები და ხასიათი.

აშენბახის მათთან გადაკვეთისა და ურთიერთობის ქონის პროცესები - მოტივები, შეგვიძლია პირობითად ცალკეულ ხდომილებებად მივიჩნიოთ, რომელთაც ერთმანეთთან ფინალური მოტივაცია აკავშირებთ. თითოეული ცალკეული იდუმალი პერსონაჟი გაერთიანებულია ერთი საერთო მიზნით - აშენბახში ვენეციაში წასვლის და იქ დარჩენის მიზნით. ეს პერსონაჟები იდუმალი ძალებით მოქმედებენ. თუ გავიხსენებთ აშენბახის გადაწყვეტილებებს (იქნება ეს მიუნხენის დატოვებით დაწყებული, თუ ლიდოში შესვლით დამთავრებული), მათი იმპულსები არა აშენბახის პიროვნებიდან, არამედ გარე ძალებიდან მოდიოდა. ამიტომაც, აშენბახს ვენეციაში მოხვედრა და მისი ტაძიოსთან შეხვედრაც კი გარე, იდუმალი პერსონაჟებით იყო გამოწვეული.

ასევე, თუ გავიხსენებთ ვისკონტის ფილმს, მასში ამ პერსონაჟებს (იგულისხმება, ცრუ-ახალგაზრდა, მეგონდოლე, მოხეტიალე მომღერალი და დალაქი) ერთი და იმავე მსახიობი თამაშობს. რაც დამატებით ხაზს უსვამს მათ ერთი პიროვნების სხვადასხვა ჰიპოსთაზობის ვერსიას. ამ მოსაზრების დამატებით არგუმენტად გამოდგება ის ფაქტი, რომ არცერთ ამ იდუმალ პერსონაჟს არ გააჩნია სახელი და მათი ასახვა ტექსტში გარეგნული და პიროვნული დახასიათებით შემოიფარგლება.

თუ პროფ. გორმან ბუშამპი და პროფ. იზადორე ტრაშენი თავიანთ ნაშრომში გამოყოფენ მხოლოდ რამდენიმე იდუმალ, მისტიკურ პერსონაჟს, წინამდებარე ნაშრომით განხილულია დამატებით სხვა პერსონაჟები, რომლებიც არანაკლები მისტიკურობით გამოირჩევიან. ასევე, ზემოთხსენებული მკვლევარები ამ

პერსონაჟების არსებობას აშენბახის რაციონალურობის საწინააღმდეგო მოვლენად და მის იდუმალი ზრახვების ერთგვარ კატალიზატორად მოიაზრებენ, წინამდებარე ნაშრომის მიხედვით, ამ პერსონაჟების მთავარი ფუნქციად მიჩნეულია აშენბახის (როგორც გერმანული არისტოკრატის, რაციონალურობის, დისციპლინისა და გონის კულტის მქონე ადამიანის, იგივე აპოლონური საწყისის მქონე ფიგურის) ერთი პიროვნულობიდან მეორეში (დიონისურ, ზარხოშულ, გრძნობის კულტის მქონე პიროვნებაში) ტრანსფორმაციის ძირითად ფაქტორებად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თომას მანმა თავის ნოველაში დაგვიხატა ერთი საწყისიდან, მეორეში (რადიკალურად განსხვავებულ საწყისში) ტრანზაქციის სურათი. თუ აშენბახი თავდაპირველად წარმოადგენდა აპოლონურ პიროვნებას, ტექსტის ბოლოს იგი დიონისურ ინდივიდად აღიქმება. ეს სახეცვლილება კი ნოველაში იდუმალი პერსონაჟების ინტეგრაციით და ამ პერსონაჟების მისტიკურობის ზღვარზე მყოფი იმპულსებით იქნა ნაკარნახები.

## გამოყენებული ლიტერატურა

ცაგარელი, ლევან (2012) თხრობის თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

ცაგარელი, ლევან (2012) შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

Fenske, Claudia (2006) Muggles, Monsters and Magicians: A Literary Analysis of the Harry Potter Series, Marburg Unive. Publisher, Marburg (p 144)

Pfister, Manfred (2011) The Theory and Analysis of Drama, Cambridge University Press, Cambridge

Rimmon-Kenan, Shlomith (2003) Narrative Fiction: Contemporary Poetics, Routledge Publisher, Oxfordshire

Beauchamp, Gorman (2011), Two Orders of Myth in Death in Venice, Southern Illinois Univ, ([ბმული](#)) (23.02.2020; 14:01);

Sasani, Samira; Sadeghi, Zahra (2018) Myth plus Psychology' in Death in Venice, Editura Universităţii Aurel Vlaicu Arad, ([ბმული](#)) (25.02.2020; 17:31);

Traschen, Isadore (1965) The Uses Of Myth In "Death In Venice, The Modern Fiction Club Of The Purdue University Department Of English, ([ბმული](#)), (23.02.2020; 17:31);

B. Spies (2002) Representation and function of characters from Greek antiquity in Benjamin Britten's Death in Venice, LCC: African languages and literature ([ბმული](#)) (24.02.2020; 21:38);

Fotis Jannidis, Created: 6. December 2012 Revised: 14. September 2013;

Bal, Mieke (2009) Narratology [electronic resource]: introduction to the theory of narrative, University of Toronto Press, Toronto;

Schmid, Wolf (2010) Narratology: An Introduction, Walter de gruyter GmbH & Co. KG, Berlin;

Fenske, Claudia (2006) Muggles, Monsters and Magicians, A literary analysis of the harry potter series, Marburg University Press, Marburg